# სარჩელი
# ადმინისტრაციულ საქმეზე

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

*შტამპის ადგილი*

## მოსარჩელე: *შენიშვნა-1*

| | | |
|---|---|---|
| ბლოკი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ,,ძალა ერთობაშია" | 200078888 | ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი #45 |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2* |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3* | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 577 28 70 58 | | ushu005@gmail.com |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## მოსარჩელის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

| | | |
|---|---|---|
| უშანგი მიქელაძე | 61006006313 | ხელვაჩაური ს. ქვემო ჯოჭო მე–5 II ჩიხი 4 |
| სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 577 28 70 58 | | |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## მოპასუხე: *შენიშვნა-5*

| | | |
|---|---|---|
| უმაღლესი საარჩევნო კომისია | | ქ. ბათუმი ი. გოგებასვილი ქ. N 2 |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6* |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 0(422)272184 | 599 57 10 49 | | info@sec.ge |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა |

*შენიშვნა-8*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

## სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*

| | | |
|---|---|---|
| | | |
| სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

*შენიშვნა-10*

## დავის საგანი

*შენიშვნა-11*

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი"-ის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოქმი"-ის ბათილად ცნობა

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

*შენიშვნა-12*

## დავის არსის მოკლე მიმოხილვა

*შენიშვნა-13*

2020 წლის 14 ნოემბერს უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი იქნა შემაჯამებელი ოქმები: 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი" რომელიც შედგა 28.79; 29.81 და 30.80-30.82-30.83-30.84 საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე. ვინაიდან უმაღლესი საარჩევნო კომისია არის ზემდგომი საარჩევნო კომისია და მისი მოვალეობა არის საარჩევნო პროცესების გამჭვირვალედ და სრული კანონის დაცვის წარმართვის ზედამხედველი. მიგვაჩნია,რომ უმაღლეს საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება არის უკანონო, რადგან: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ სამ საარჩევნო ოლქის შემაჯამებელი ოქმების მიხედთვით ბათილად გამოცხადა 5 352 ხოლო დაკარგულად 1 190 ბიულეტენი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პროპორციულ არჩევნების შედეგები ბათუმი 28.79 საოლქო საარჩევნო კომისია მოსული ამომრჩეველი 81 373, ქობულეთი N 29.81 საოლქო საარჩევნო კომისია 43 375 და 30.80-30.82-30.83-30.84 საოლქო კომისის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით 62 115 ჯამში კი 186 863-მა ამომრჩეველმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა აქედან შესწორების ოქმებით ახსნა-განმარტებებით და საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულებებით ნამდვილ ხმებად ჩაითვალა 180 330, ხოლო ბათილად გამოაცხადეს 5 352 , დაკარგულად კი 1 190, ჯამში 6 542 ამომრჩევლის ნება უცნობია რაც გავლენას მოახდენდა მანდატების რაოდენობაზე ან კიდე საარჩევნო სუბიექტებზე რომლებიც ახლოს იყვნენ 5 პროცენტიან ბარიერთან. აღნიშნული ცნობილი იყო უმაღლესი საარჩევნო კომისიისთვის მაგრამ მისი მხრიდან მიუხედავად ამისა მოხდა შედეგების აღიარება და ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილების კანონიერად ცნობა. ასევე საყურადღებოა სპეც უბნების შედეგები 28.79.106 დან 28.79.121-დე

საარჩევნო უბნებზე დაკარგულია ბიულეტენები რომელზეც არავის უმსჯელია თუ როგორ რა ვითარებაში შეიძლებოდა დაკარგულიყო ბიულეტენები. საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების 50 პროცენტზე მეტთან დაკავშირებით კენჭისყრიდან მეორე დღეს და ზოგ შემთხვაში მესამე დღეს დაიწერა ჯგუფური ახნა-განმარტებები. შესწორების ოქმებზე არ არის ხელმოწერები, იყო შემთხვევა 28.79.20 საუბნო საარჩევნო კომისიიდან სპეციალური კონვერტების გატანის ფაქტი ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრის მხრიდან. იყო მარკირებიანი ამომრჩევლის მცდელობა კვლავ მიეღო არჩევნებში მონაწილეობა სხვა საარჩევნო უბანზე. შერჩევით მოხდა საუბნო საარჩევნო კომისიის მხრიდან ამომრჩევლებზე უფლების მიცემა არჩევნებში მონაწილეობის. სადაც მიზეზად მოყავდათ, რომ იყო კოვიდ-19 ინფიცირებულთა სპეციალურ სიაში, დღის მეორე ნახევარში გაჩნდა სამედიცინო ცნობები თითქოს და აღარ იყვნენ კოვიდ ინმფიცირებული. საერთო ჯამში კენჭისყრა წარიმართა ქაოტურად საჩივრების ფონზე, არავის დაუდგენია და გაურკვევია სპეციალურ სიებში შეყვანილმა ამომრჩევლებმა მისცეს თუ არა განმეორებით ხმა ძირითად უბნებზე. შემაჯამებელ ოქმებში არ იყო ბალანსები დაიკარგა საქართველოში ჩატარებული არჩევნების მიხედვით ყველაზე მეტი ბიულეტენი, რომელზეც არსებობს ვარაუდი, რომ ისინი გამოყენებული იყო კარუსელის ჩასატარებლად. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება და ამ ცვლილებით აღინიშნა, რომ საარჩევნო უბნიდან 25 მეტრის რადიუსში არ უნდა ყოფილიყო სხვადასხვა პირების შეკრება დღის განმავლობაში საარჩევნო უბნებთან მობილიზებული იყო კორდინატორები და სხვადასხვა გაურკვეველი წარმომავლობის პირები.

ეს ყოველივე ცნობილი იყო უმაღლესი საარჩევნო კომისიისთვის, ამ კომისიის წევრები მთელი დღის განმავლობაში დადიოდნენ საარჩევნო უბნებზე და მათი მხრიდან არ ხდებოდა უკანონობის აღკვეთა.

2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოქმი“ აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიას არ გაჩენია კითხვა 29.81 საოლქო საარჩევნო კომისის მიერ აჭარის ა.რ უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარულ სისტემით ჩატარებულ არჩევნების შემაჯამებელ ოქმის მიმართებაში, სადაც ახსნა-განმარეტებებით და შესწორების ოქმების მიუხედავად ბათილ ბიულეტენად გამოცხადა 1 531, ხოლო დაკარგულად 270, როცა ნამდვილი ხმების 41 574 ნახევარი ანუ 50 პროცენტი არის 20 787 ხოლო მ.პ.გ „ქართული ოცნება“-ის კანდიდატის ხმების ჯამი არის 20 809 ანუ 22 ხმით გადალახა 50 პროცენტი. ეს იმის ფონზე ბათილებს, რომ თავი დავანებოთ დაკარგულია 270 ბიულეტენი რაც გაზრდიდა ნამდვილი ხმების რაოდენობას და შესაბამისად დადგებოდა მეორე ტური. მაგრამ ეს ყოველივე არ გახდა უმაღლესი საარჩევნო კომისიისთვის დამაბრკოლებელი გარემოება. (არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა 43 375 გამოკლებული ნამდვილი ხმები 41 574 მიღებულს გამოკლებული ბათილი 1 531 მივიღებთ 270 ანუ დაკარგულ ბიულეტენების რაოდენობა. ნამდვილ ბიულეტენებს 41 574 თუ დავამატებთ 270-ს მივიღებთ 41 844-ს და თუ გავყოფთ ორზე მივიღებთ 20 922-ს, რაც იქნებოდა 50 პროცენტი) აღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებული განკარგულება მიგვაჩნია უკანონოდ რადგან დაკარგული ბიულეტენების რაოდენობა გავლენას ახდენს შედეგებზე და შესაბამისად განკარგულების მიღება ასეთ შემაჯამებელ ოქმზე დაყრდნობით არ შეიძლება და ვერ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად.

## დავის ფაქტობრივი გარემოებები

*შენიშვნა-14 შენიშვნა-15 შენიშვნა-16*

1. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 14 ნოემბერს უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი იქნა შემაჯამებელი ოქმები: 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი" რომელიც შედგა 28.79; 29.81 და 30.80-30.82-30.83-30.84 საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე. ვინაიდან უმაღლესი საარჩევნო კომისია არის ზემდგომი საარჩევნო კომისია და მისი მოვალეობა არის საარჩევნო პროცესების გამჭვირვალედ და სრული კანონის დაცვის წარმართვის ზედამხედველი. მიგვაჩნია,რომ უმაღლეს საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება არის უკანონო, რადგან: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ სამ საარჩევნო ოლქის შემაჯამებელი ოქმების მიხედთვით ბათილად გამოცხადა 5 352 ხოლო დაკარგულად 1 190 ბიულეტენი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პროპორციულ არჩევნების შედეგები ბათუმი 28.79 საოლქო საარჩევნო კომისია მოსული ამომრჩეველი 81 373, ქობულეთი 29.81 საოლქო საარჩევნო კომისია 43 375 და 30.80-30.82-30.83-30.84 საოლქო კომისის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით 62 115 ჯამში კი 186 863-მა ამომრჩეველმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა აქედან შესწორების ოქმებით ახსნა-განმარტებებით და საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულებებით.

მტკიცებულება:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი"
2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოქმი"

N 28 საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი

N 29 საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმები

N 30. საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი

2. ფაქტობრივი გარემოება

ნამდვილ ხმებად ჩაითვალა 180 330, ხოლო ბათილად გამოაცხადეს 5 352 , დაკარგულად კი 1 190, ჯამში 6 542 ამომრჩევლის ნება უცნობია რაც გავლენას მოახდენდა მანდატების რაოდენობაზე ან კიდე საარჩევნო სუბიექტებზე რომლებიც ახლოს იყვნენ 5 პროცენტიან ბარიერთან. აღნიშნული ცნობილი იყო უმაღლესი საარჩევნო კომისიისთვის მაგრამ მისი მხრიდან მიუხედავად ამისა მოხდა შედეგების აღიარება და ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილების კანონიერად ცნობა. ასევე საყურადღებოა სპეც უბნების შედეგები 28.79.106 დან 28.79.121-დე საარჩევნო უბნებზე დაკარგულია ბიულეტენები რომელზეც არავის უმსჯელია თუ როგორ რა ვითარებაში შეიძლებოდა დაკარგულიყო ბიულეტენები. საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების 50 პროცენტზე მეტთან დაკავშირებით კენჭისყრიდან მეორე დღეს და ზოგ შემთხვაში მესამე დღეს დაიწერა ჯგუფური ახნა-განმარტებები. შესწორების ოქმებზე არ არის ხლმოწერები, იყო შემთხვევა 28.79.20 საუბნო საარჩევნო კომისიიდან სპეციალური კონვერტების გატანის ფაქტი ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრის მხრიდან. იყო

მარკირებიანი ამომრჩევლის მცდელობა კვლავ მიეღო არჩევნებში მონაწილეობა სხვა საარჩევნო უბანზე.

მტკიცებულება:

3. ფაქტობრივი გარემოება

შერჩევით მოხდა საუბნო საარჩევნო კომისიის მხრიდან ამომრჩევლებზე უფლების მიცემა არჩევნებში მონაწილეობის. სადაც მიზეზად მოყავდათ, რომ იყო კოვიდ-19 ინფიცირებულთა სპეციალურ სიაში, დღის მეორე ნახევარში გაჩნდა სამედიცინო ცნობები თითქოს და აღარ იყვნენ კოვიდ ინმფიცირებული. საერთო ჯამში კენჭისყრა წარიმართა ქაოტურად საჩივრების ფონზე, არავის დაუდგენია და გაურკვევია სპეციალურ სიებში შეყვანილმა ამომრჩევლებმა მისცეს თუ არა განმეორებით ხმა ძირითად უბნებზე. შემაჯამებელ ოქმებში არ იყო ბალანსები დაიკარგა საქართველოში ჩატარებული არჩევნების მიხედვით ყველაზე მეტი ბიულეტენი, რომელზეც არსებობს ვარაუდი, რომ ისინი გამოყენებული იყო კარუსელის ჩასატარებლად. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება და ამ ცვლილებით აღინიშნა, რომ საარჩევნო უბნიდან 25 მეტრის რადიუსში არ უნდა ყოფილიყო სხვადასხვა პირების შეკრება დღის განმავლობაში საარჩევნო უბნებთან მობილიზებული იყო კორდინატორები და სხვადასხვა გაურკვეველი წარმომავლობის პირები ეს ყოველივე ცნობილი იყო უმაღლესი საარჩევნო კომისიისთვის, ამ კომისიის წევრები მთელი დღის განმავლობაში დადიოდნენ საარჩევნო უბნებზე და მათი მხრიდან არ ხდებოდა უკანონობის აღკვეთა.

მტკიცებულება:

4. ფაქტობრივი გარემოება

2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოქმი“ აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიას არ გაჩენია კითხვა 29.81 საოლქო საარჩევნო კომისის მიერ აჭარის ა.რ უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარულ სისტემით ჩატარებულ არჩევნების შემაჯამებელ ოქმის მიმართებაში, სადაც ახსნა-განმარეტებებით და შესწორების ოქმების მიუხედავად ბათილ ბიულეტენად გამოცხადა 1 531, ხოლო დაკარგულად 270, როცა ნამდვილი ხმების 41 574 ნახევარი ანუ 50 პროცენტი არის 20 787 ხოლო მ.პ.გ „ქართული ოცნება“-ის კანდიდატის ხმების ჯამი არის 20 809 ანუ 22 ხმით გადალახა 50 პროცენტი. ეს იმის ფონზე ბათილებს, რომ თავი დავანებოთ დაკარგულია 270 ბიულეტენი რაც გაზრდიდა ნამდვილი ხმების რაოდენობას და შესაბამისად დადგებოდა მეორე ტური. მაგრამ ეს ყოველივე არ გახდა უმაღლესი საარჩევნო კომისიისთვის დამაბრკოლებელი გარემოება. (არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა 43 375 გამოკლებული ნამდვილი ხმები 41 574 მიღებულს გამოკლებული ბათილი 1 531 მივიღებთ 270 ანუ დაკარგულ ბიულეტენების რაოდენობა.

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

5. ფაქტობრივი გარემოება

ნამდვილ ბიულეტენებს 41 574 თუ დავამატებთ 270-ს მივიღებთ 41 844-ს და თუ გავყოფთ ორზე მივიღებთ 20 922-ს, რაც იქნებოდა 50 პროცენტი) აღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებული განკარგულება მიგვაჩნია უკანონოდ რადგან დაკარგული ბიულეტენების რაოდენობა გავლენას ახდენს შედეგებზე და შესაბამისად განკარგულების მიღება ასეთ შემაჯამებელ ოქმზე დაყრდნობით არ შეიძლება და ვერ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად.

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

6. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

## სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

*შენიშვნა-17 შენიშვნა-18 შენიშვნა-19*

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნას ცნობილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოქმი“

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

ვინაიდან, სადავოდ ქცეული შემაჯამებელი ოქმი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოვითხოვთ დავის განხილვისას შემოწმდეს მისი შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან, სადავო სამართალურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე საარჩევნო კოდექსთან და სხვა ნორმატიული აქტების დებულებებთან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60(1 ) მუხლით განისაზღვრება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის პირობები. კერძოდ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

თავის მხრივ, კანონით გათვალისწინებულ „არსებით დარღვევად” მიიჩნევა ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე; ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით; გ) კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ასევე, საქართველოს საარჩევნო კოდექსი 70-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ადგენს: თუ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას შეცდომა იქნა დაშვებული, მის გამოსასწორებლად შემაჯამებელ ოქმში შესაბამისი მონაცემის გასწვრივ მაშინვე კეთდება წარწერა „შესწორებულია“. საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს შესწორების ოქმი, რომელშიც აღინიშნება შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების შესწორება და ამ ოქმის შესწორების თარიღი და დრო. საარჩევნო კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს შესწორების ოქმს, რომელში შეტანილი მონაცემიც შესწორდება.

შესწორების ოქმის შედგენისას ზემოაღნშნული მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, რაც გამოხატულია სიტყვებში „მაშინვე კეთდება წარწერა „შესწორებულია“ და „ვალდებულია ხელი მოაწეროს შესწორების ოქმს დამსწრე კომისიის ყველა წევრმა“ თუ არ არის დაცული. მაშინ დარღვეულია კანონის იმპერატიულობის პრინციპი და ეჭვქვეშ აყენებს მის ნამდვილობას. ასეთ შემთხვევაში თუ შემაჯამებელ ოქმზე დაიწერა „შესწორებული ოქმი“ და ბალანსი მაინც ვერ ჯდება, ფაქტია ამომრჩევლის გამოხატულ ნებას ვერ ასახავს შემაჯამებელი ოქმი და მთლიანად უბნის ბათილობის საკითხი დგება დღის წესრიგში. რაც გამოხატულია საოლქო სააარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის ხარვეზებშიც, რომელთა თანახმადაც არ ჯდება ბალანსი. საარჩევნო სუბიექტების

მიერ მიღებული ხმების რაოდენობისა და ბათილი ბიულეტენების რაოდენობის ჯამი უნდა უდრიდეს არჩევნებში მონაწილეთა საერთო რაოდენობის ჯამს. რომ არა ამ დოზით დისბალანსი, ამომრჩევლის ნება რომ სათანადოდ ყოფილიყო ასახული შემაჯამებელ ოქმში, მაშინ ის გადამწყვეტ გავლენას იქონიებდა უმაღლესი საარჩევნო კომისის მიერ ჩატარებულ არჩევნების შედეგებზე.

აქვე, უნდა აღინიშნოს ის გარემოებები, როგორებიცაა: ბიულეტენების მეტობა/ნაკლებობა, ბათილი ბიულეტენების რაოდენობა, უბანზე მოსულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობასა და ამოსულ ბიულეტენებს შორის დისბალანსი, რომლებიც არსებითია არჩევნების შედეგებისთვის, განსაკუთრებით 2020 წლის არჩევნებზე, როდესაც 18 დეპუტატი აირჩევა პროპროციული სისტემით.

1. საარჩევნო კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს იმ კრიტერიუმებს, რის საფუძველზეც დასაშვებია საარჩევნო ბიულეტენის გაბათილება. რეალურად, ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან (ბ) პუნქტის შინაარსი არის შემდეგნაირი- „შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა.“ აღნიშნულზე პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს ამომრჩეველს, რადგან უმეტეს შემთხვევაში გაბათილების მიზეზი არის რეგისტრატროების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა, ხელმოწერის ან ბეჭდის არარსებობსა საარჩევნო ბიულეტენზე, რაც ბათილი ბიულეტენების რაოდენობიდან გამომდინარე გვიჩენს ეჭვს, რომ არის განზრახ მიმართული ქმედება. დანარჩენი პუნქტების შემთხვევაში, როდესაც დამოწმებული არ არის ბიულეტენი ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით, კონვერტში აღმოჩნდა დადგენილზე მეტი ბიულეტენი, ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე - ყოველივე ეს დათქმები გულისხმობს რომ საარჩვენო უბანზე სარჩევნო კომისია თავის უფლებამოსილებას ვერ ახორციელებს სრულფასოვნად და ვერ უზრუნველყოფს კანონით დადგენილი ნორმების შესრულებას, თავიანთი უფლებასმოსილების ნაწილში. კანონი ითვალისწინებს ბიულეტენების ბათილობის ზემოხსენებულ საფუძვლებს, ვინაიდან დასაშვებია გარკვეულ ხარვეზებს და გადაცდომებს ჰქონდეს ადგილი. თუმცა, არსებითად ამიტომ არის მნიშვნელოვანი ბათილი ბიულეტენების რაოდენობის შეფასება, როგორც პირდაპირ მიმანიშნებელი იმისა, რომ განვსაზღვროთ ჰქონდა თუ არა გარკვეულ მანიპულაციებს ადგილი ხმის მიცემის პროცედურისას და შეძლო თუ არა კომისიამ, დაეცვა ამომრჩევლის გამოვლენილი ნება. ბათილი ბიულეტენების დიდი რაოდენობა, მიუხედავად იმისა რომ კანონით პირდაპირ არ არის დადგენილი, როგორც ბათილობის საფუძველი, იწვევს ეჭვის საფუძველს რომ უბანზე, კენჭისყრის დღეს წარმართული პროცესები განხორციელდა ამავე კოდექსის სხვადასხვა ნორმათა დარღვევით.

2. როდესაც უბანზე მოსულ საერთო ამომრჩეველთა რაოდენობაზე ამოსულ ბიულეტენთა რაოდენობა ნაკლებია/მეტია, გულისხმობს კენჭისყრის დღეს ხმის მიცემისა და ხმის დათვლის პროცედურები წარიმართა კანონის მოთხოვნათა დარღვევით. ნაკლებობის შემთხვევაში, თუ ერთით ნაკლები ბიულეტენი ამოვიდა, ნიშნავს, რომ უბანზე დატრიალდა ე.წ. „კარუსელი“. რამდენიმე ბიულეტენის ნაკლებობა (5,10,20 ან სხვა) ნიშნავს, რომ დათვლისას ბიულეტენები არასწორად იქნა გადალაგებული, ან მოპარული/განადგურებული, შესაბამისად გადათვლა ვერ მოგვცემს რეალურ სურათს და ვერ გამოხატავს ამომრჩევლის ნებას. თუ ამოსულ ბიულეტენთა რაოდენობა მეტია უბანზე მოსულ საერთო ამომრჩეველთა რაოდენობაზე, აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ ბიულეტენები ჩაყრილია საარჩევნო ყუთში.

3. ზემოხსენებული შემთხვევებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ტენდენცია, მიუხედავად იმისა, რომ შემაჯამებელ ოქმებზე გაკეთდა შესწორების ოქმები ბალანსი მაინც ვერ აღდგა და ამის აღმოფხვრის მიზნით პირდაპირ მოხდა ჩასწორება უბანზე მოსულ საერთო ამომრჩეველთა 4 გრაფაში. აღნიშნული ჩასწორების შედგენა ემსახურება უბანზე ამოსულ ბიულეტენების მეტობის ან ნაკლებობის ხარვეზის გამოსწორებას. შემაჯამებელ ოქმში 4

გრაფაში შესწორების შეტანა ყველაზე მეტად უსვამს ხაზს უბანზე დარღვევით ჩატარებულ პროცედურებს, ვინაიდან არჩევნებში მოსულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის გადათვლა ხორციელდება სამაგიდო სიებში გაკეთებული ხელმოწერების აღრიცხვით, შესაბამისად შანსი იმისა, რომ ხმის დათვლის პროცესში აღნიშნული ხელმოწერების რაოდენობა შეიცვალოს წარმოუდგენელია.

ამდენი დარღვევის ფონზე მთლიანად ეჭვქვეშ დგება არჩევნების სანდოობის საკითხი, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც ყოველ ადამიანს აქვს უფლება უშუალოდ მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში და თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში, რაც გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას არ დაუშვას პირის საარჩევნო უფლების არამართლზომიერად შეზღუდვა.

ასევე საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია ამომრჩევლის მიერ ნების გამოვლენის თავისუფლება. აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურება საარჩევნო კოდექსის რიგი მუხლები. ამომრჩევლის მიერ ნების გამოვლენის თავისუფლების დაცვა თავისთავში მოიაზრებს გამოვლენილი ნების დაცვას და სწორად ასახვას, რომელმაც შემდგომში გავლენა უნდა იქონიოს საარჩევნო შედეგებზე. იქიდან გამომდინარე, რომ თითოეულ ამომრჩევლის ხმას არ დაეკარგოს მნიშვნელობა, სასიცოცხლოა ზემოხსნებული ასპექტები.

2. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

## მტკიცებითი შუამდგომლობები

*შენიშვნა-20*

| მოწმე | ფაქტობრი ი გარემოება(ები) |
|---|---|
| | |
| ექსპერტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| | |
| სპეციალისტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| | |

*შენიშვნა-21*

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

*შენიშვნა-22*

შუამდგომლობები მტკიცე ულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

*შენიშვნა-23*

## სხვა სახის შუამდგომლობები

*შენიშვნა-24*

1. მოთხოვნა

გთხოვთ, მესამე პირებად ჩართოთ საარჩევნო პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტი.

არგუმენტაცია:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს მესამე პირთა ჩართვას პროცესზე, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება ეხება მათ ინტერესებს.

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

| | | |
|---|---|---|
| დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას? | | |
| **დიახ** | ☐ | ვის? რომელი ენის მცოდნე? |
| **არა** | ☐ | |

| | | |
|---|---|---|
| **სარჩელის ფასი** *შენიშვნა-25* | — | 100 ლარი |
| **სახელმწიფო ბაჟი** *შენიშვნა-26* | — | 100 ლარი |

**სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი**
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

| | | |
|---|---|---|
| 1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? | დიახ ☐ | არა ☐ |
| რომელი ნორმა? | | |
| მტკიცებულება: | | |
| 2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? | დიახ ☐ | არა ☐ |
| რის საფუძველზე? | | |
| მტკიცებულება: | | |
| 3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? | დიახ ☐ | არა ☐ |
| რის საფუძველზე? | | |
| მტკიცებულება: | | |
| 4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? | დიახ ☐ | არა ☐ |
| რის საფუძველზე? | | |
| მტკიცებულება: | | |

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:
5.

*შენიშვნა-27*

| | | |
|---|---|---|
| გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა? | | |
| **დიახ** | ☐ | მტკიცებულება: |
| **არა** | ☐ | რადგან |

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | მორიგების პირობები: |
| **არა** | ☐ | რადგან |

*შენიშვნა-28*

| | | |
|---|---|---|
| თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე? | | |
| **ᲓᲘᲐᲮ** | ☐ | |
| **ᲐᲠᲐ** | ☐ | რადგან |

*შენიშვნა-29*

| |
|---|
| რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის? |
| 25 წუთზე მეტი რადგან |
| რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება? |
| I სხდომაში რადგან |

*შენიშვნა-30*

| | | |
|---|---|---|
| თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით? | | |
| **ᲓᲘᲐᲮ** | ☐ | |
| **ᲐᲠᲐ** | ☐ | რადგან |

*შენიშვნა-31*

| | | |
|---|---|---|
| თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას? | | |
| ძირითად მისამართზე | დროის ოპტიმალური შუალედი: | 00:00 - 10:00 |

| | | |
|---|---|---|
| თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით? | | |
| **ᲓᲘᲐᲮ** | ☐ | |
| **ᲐᲠᲐ** | ☐ | რადგან |

*შენიშვნა-32*

## ᲗᲐᲜᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐ

*შენიშვნა-33* *შენიშვნა-34*

~~დანართი 1. ბაჟის გადახდის ქვითარი 1 ფურცელი.~~

დანართი 2 მინდობილობა 1 ფურცელი.

დანართი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი“ 2 ფურცელი.

დანართი 4. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოქმი“ 2 ფურცელი.

დანართი 5. N 28 საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი 1 ფურცელი.

დანართი 6. N 29 საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმები 2 ფურცელი.

დანართი 7. N 30. საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 10 ფურცელი.

## სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

| | | დიახ | არა |
|---|---|---|---|
| 1. | მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი. | ☐ | ☐ |
| 2. | მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი). | ☐ | ☐ |
| 3. | მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. | ☐ | ☐ |
| 4. | მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები. | ☐ | ☐ |
| 5. | მითითებულია დავის საგანი. | ☐ | ☐ |
| 6. | მითითებულია სარჩელის ფასი. | ☐ | ☐ |
| 7. | მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა. | ☐ | ☐ |
| 8. | მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა. | ☐ | ☐ |
| 9. | სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული. | ☐ | ☐ |
| 10. | სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე. | ☐ | ☐ |
| 11. | მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. | ☐ | ☐ |
| 12. | სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს). | ☐ | ☐ |
| 13. | სარჩელი ხელმოწერილია. | ☐ | ☐ |
| 14. | სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა. | ☐ | ☐ |

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის*

| სარჩელი ფორმალურად გამართულია: | სარჩელი ფორმალურად არაა გამართული: | *ხელმოწერა* | *სახელი და გვარი* |
|---|---|---|---|
| ☐ | ☐ *პუნქტების ჩამონათვალი* | | |

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| | | |
|---|---|---|
| | უშანგი მიქელაძე | 16 / ნოემბერი /2020 წ. |
| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი და გვარი | შევსების თარიღი |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.